პოლიტიკის დოკუმენტი N2024/09

ჰარისი ტრამპის წინააღმდეგ – მოსალოდნელი ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე

ოქტომბერი 2024

ავტორები:

თამარ ბლიაძე

თორნიკე სურგულაძე

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსი არის ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობა და არცერთ შემთხვევაში არ ასახავს შვედეთის პოზიციას.

შესავალი

აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები ერთ-ერთი ყველაზე დიდი გლობალური პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე მოვლენაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ ამერიკის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, არამედ მის ურთიერთობაზე სხვა ქვეყნებთან. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების მნიშვნელობა სცდება მხოლოდ ამერიკის ფარგლებს და ზეგავლენას ახდენს მის საერთაშორისო პარტნიორებზეც, მათ შორის, საქართველოზეც. საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიაში სტრატეგიულ ადგილზე მდებარე ქვეყნის, ეკონომიკა დიდწილადაა დამოკიდებული გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე და ეფუძნება საკვანძო პარტნიორების, მაგ., ამერიკის შეერთებული შტატების, მხარდაჭერას. 1990 წლის დასაწყისიდან აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და უწევს მას ფინანსურ მხარდაჭერას, ხელს უწყობს საქართველოს მიერ სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას და სხვადასხვა პროგრამის მეშვეობით მხარს უჭერს მას კომპლექსური რეფორმების გატარების პროცესში, ინსტიტუტების შექმნასა და ეკონომიკურ განვითარებაში. მოსალოდნელია, რომ 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს გლობალურ ეკონომიკაზე და, მათ შორის, საქართველოზე. საქართველოს ეკონომიკაზე განსხვავებული ზეგავლენა ექნება როგორც კამალა ჰარისის, ისე დონალდ ტრამპის გამარჯვებას. მსოფლიოში დემოკრატიის ხარისხზე მოსალოდნელი ზეგავლენის გარდა, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები ზეგავლენას იქონიებს სხვადასხვა სექტორზე, მათ შორის, საერთაშორისო ვაჭრობაზე, მიგრაციაზე, ფულად გადარიცხვებზე, გაცვლით კურსებსა და უცხოურ ინვესტიციებზე.

დიდი ხანია, რაც ამერიკა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია, სწორედ ამიტომ 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს სამომავლო თანამშრომლობის პროცესზე. დონალდ ტრამპი, რომელიც რესპუბლიკურ პარტიას წარმოადგენს, კამპანიას ახორციელებს სლოგანით „America First“ (ამერიკა უპირველეს ყოვლისა), რაც გულისხმობს ამერიკის ინტერესების პრიორიტეტად დაყენებას. მისი საგარეო პოლიტიკა ემყარება ცალმხრივ სავაჭრო შეთანხმებებს, აშშ-ის ვალდებულებების შემცირებას საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ (მაგ., NATO) და მკაცრ საიმიგრაციო პოლიტიკას. არჩევის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ტრამპი განაგრძობს ჩინეთთან ბრძოლას ვაჭრობისა და უსაფრთხოების საკითხებზე და, ამავდროულად, შეეცდება მეგობრული ურთიერთობების დამყარებას რუსეთთან. ამგვარი პოლიტიკა ემყარება ეკონომიკურ პროტექციონიზმს და ეროვნულ სუვერენიტეტს და მან შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს აშშ-ის ჩართულობაზე სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის, საქართველოში, განსაკუთრებით, თავდაცვისა და ეკონომიკური მხარდაჭერის საკითხებში. ამის საპირისპიროდ, კამალა ჰარისი, რომელიც დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენს, უპირატესობას ანიჭებს მრავალმხრივ თანამშრომლობას, ალიანსების აღდგენას და ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების გაძლიერებას, როგორსაც NATO და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) წარმოადგენს. კამალა ჰარისის მიდგომა საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით ემყარება დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს, გენდერულ თანასწორობას და გლობალურ თანამშრომლობას ისეთ საკვანძო საკითხებში, როგორიცაა

კლიმატური ცვლილებები და ჯანდაცვა. მოსალოდნელია, რომ კამალა ჰარისის პოლიტიკა რუსეთის მიმართ იქნება უკომპრომისო და მეტად იქნება დაფუძნებული ევროკავშირის სტანდარტებზე, რამაც შესაძლოა დადებითი ზეგავლენა იქონიოს საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესზე, განსაკუთრებით, ვაჭრობის, სხვა ქვეყნებისგან მიღებული დახმარებისა და უსაფრთხოების დარგში თანამშრომლობის საკითხებში (Council on Foreign Relations, 2024). გარდა ამისა, იგი გეგმავს ხელი შეუწყოს ისეთი საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების დადებას, რომლებიც დააკმაყოფილებს როგორც შრომით, ისე ეკოლოგიურ სტანდარტებს. ამ კანდიდატების განსხვავებულმა მიდგომებმა საგარეო პოლიტიკასა და გლობალურ ეკონომიკურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით, შესაძლოა მნიშვნელოვნად განაპირობოს საქართველოს ეკონომიკის მომავალი, ზეგავლენა იქონიოს ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობებზე, საზღვარგარეთის მხრიდან დახმარებაზე, საინვესტიციო ნაკადებზე და უსაფრთხოებაზე რეგიონში.

1992 წელს, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოსა და ამერიკას შორის ჩამოყალიბებულმა პარტნიორობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გატარებაში, ეკონომიკურ განვითარებასა და საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციაში. აშშ-მა ქვეყანას უმნიშვნელოვანესი დახმარება გაუწია, რომელიც ემსახურებოდა სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების განვითარებას. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ თავდაცვის საკითხებშიც. თუმცა ბოლო პერიოდში საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერობა დაიძაბა, რაც განაპირობა საქართველოს პოლიტიკურ კურსთან, ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხსა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულმა შეშფოთებამ, რომელიც განსაკუთრებით გამწვავდა 2024 წელს საქართველოს მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ, რის შედეგადაც აშშ-მა ქართველ მაღალჩინოსნებს სანქციები დაუწესა. ყოველივე ეს იწვევს შეშფოთებას საქართველოს მიერ დემოკრატიის სტანდარტების დაცვის ხარისხთან დაკავშირებით (Voice of America, 2024).

ტრამპის პროტექციონიზმი ჰარისის მრავალმხრივობის წინააღმდეგ: აშშ-ის 2024 წლის არჩევნების ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე

დიდი ხანია, რაც ამერიკის შეერთებული შტატები უმნიშვნელოვანესი აქტორია მსოფლიო ვაჭრობის სფეროში, თუმცა დონალდ ტრამპის და კამალა ჰარისის შიდა სავაჭრო პოლიტიკა აბსოლუტურად განსხვავებულ მიდგომებს ეფუძნება. ტრამპის პოლიტიკა, დიდი ალბათობით, მიმართული იქნება სავაჭრო ურთიერთობების გადახედვისა და ტარიფების ზრდისკენ. მისი საგარეო ვაჭრობის სტრატეგია ემყარება პროტექციონიზმს, სავაჭრო დეფიციტის შემცირებას, განსაკუთრებით, ჩინეთთან ურთიერთობაში და შეთანხმებების გადახედვას, რათა მოხდეს ამერიკელი დასაქმებულების და ამერიკული საწარმოების პრიორიტეტიზაცია. ტრამპის მიერ ჩინურ საქონელზე ტარიფების დაწესება ისეთი მოტივით, როგორიცაა ჩინეთის მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევა და არაკეთილსინდისიერი სავაჭრო პრაქტიკა, ხაზს უსვამს მის სურვილს დაიცვას ამერიკული საწარმოები უცხოური კონკურენციისაგან. მრავალმხრივ სავაჭრო გარიგებებთან შედარებით, ტრამპი უპირატესობას მუდმივად ორმხრივ გარიგებებს ანიჭებს, შესაბამისად, იგი ყურადღებას ადგილობრივ წარმოებაზე ამახვილებს და თავს არიდებს საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვებზე დამოკიდებულებას. ტრამპი ყოველთვის გამოირჩეოდა სკეპტიციზმით თავისუფალი ვაჭრობისა და გლობალიზაციის მიმართ და მიზნად ისახავდა აშშ-ის საწარმოების გაძლიერებას და გარე აქტორებზე დამოკიდებულების მინიმიზაციას (Chatham House, 2024).

ამის საპირისპიროდ, კამალა ჰარისის მიდგომა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებით გაცილებით მრავალმხრივია. თუმცა აქაც შეინიშნება ტრამპის პროტექციონიზმის ელემენტები. ბაიდენისა და ჰარისის ადმინისტრაციამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ადგილობრივი წარმოების წასახალისებლად, შემოიღო სუბსიდიები და, ამავდროულად, შეინარჩუნა გარკვეული შეზღუდვები, განსაკუთრებით, ჩინეთთან ვაჭრობის დროს. ჰარისმა მხარი დაუჭირა ისეთ შეთანხმებებს, როგორიცაა მაგ., ინდო-წყნარი ოკეანის სავაჭრო ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს რეგიონულ თანამშრომლობას, თუმცა ამავდროულად ითვალისწინებს შეზღუდვებს აშშ-ის ბაზარზე წვდომისას. ტრამპის მსგავსად, ჰარისიც იჩენს სიფრთხილეს თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებით, რაც კარგად ასახავს აშშ-ში არსებულ შეშფოთებას, რომელიც უკავშირდება სამუშაო ადგილებს და დასაქმებულთა შემოსავალზე არსებულ გლობალიზაციის შედეგებს. თუმცა ჰარისი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობასა და დიპლომატიურ ურთიერთობებს, ტრამპის მიდგომა კი გაცილებით კონფრონტაციული და ნაციონალისტურია (USA Today, 2024).

საერთაშორისო ვაჭრობა საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. 2023 წელს ქვეყნის ექსპორტმა მშპ-ის 20% შეადგინა (საქსტატი). იმისათვის, რომ გავაანალიზოთ ტრამპის ან ჰარისის გაპრეზიდენტების შედეგები საქართველოს ეკონომიკაზე, შეგვიძლია შევისწავლოთ 2017 წელს ტრამპის ინაუგურაციამდე და მას შემდეგ არსებული სავაჭრო მონაცემები. ჰარისის პოლიტიკა ბაიდენის პოლიტიკის მსგავსია, შესაბამისად, შეგვიძლია შევაფასოთ 2021 წლის, ბაიდენის გაპრეზიდენტების შემდგომი მონაცემები.

2024 წელს აშშ საქართველოსათვის ყველაზე მსხვილ საექსპორტო ბაზრების სიაში მე-8 ადგილს იკავებდა. საქართველოდან ამერიკაში განხორციელებული საქონლის ექსპორტის მაჩვენებლები წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა (იხ. გრაფიკი 1). 2017 წელს, ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ, თავდაპირველად, ამერიკაში განხორციელებული ექსპორტი გაიზარდა, რაც მიგვანიშნებდა სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებაზე. მიუხედავად ამისა, ეს ზრდა 2019-2020 წლებში შეჩერდა, რაც, სავარაუდოდ, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულმა გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა განაპირობა. 2010-2020 წლების სავაჭრო მონაცემები ასახავს საქართველოდან აშშ-ში განხორციელებული ექსპორტის კლების ტენდენციას აღნიშნულ პერიოდში. 2021 წელს, ჯო ბაიდენის გაპრეზიდენტების შემდეგ, დაიწყო სავაჭრო ურთიერთობების ეტაპობრივი აღდგენა და 2022 წლისთვის საქართველოდან აშშ-ში განხორციელებული ექსპორტი ეტაპობრივად გაიზარდა.

ტრამპის ხელახალი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, მისი ინიციატივა დამატებითი სავაჭრო ტარიფების დაწესების შესახებ შესაძლოა უარყოფითად აისახოს საქართველოდან აშშ-ში განხორციელებულ ექსპორტზე, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ბოლო დროს დაფიქსირებული ზრდა. ამის საპირისპიროდ, ჰარისის მრავალმხრივმა მიდგომამ შესაძლოა დამატებითი სტაბილურობა შემოიტანოს ქართულ ექსპორტში; თუმცა ჰარისის პოლიტიკა დიდი ალბათობით კვლავ იქნება ფოკუსირებული სუბსიდიების მეშვეობით ადგილობრივი წარმოების წახალისებაზე, რაც არაპირდაპირ ზეგავლენას იქონიებს საქართველოს სავაჭრო შესაძლებლობებზე. ამგვარად, ამერიკისა და საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების განვითარება დიდწილადაა დამოკიდებული აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე. მოსალოდნელია, რომ არჩევნების შედეგები ყველაზე მეტად შეეხება წარმოებულ საქონელს და საბაზო ლითონებს, რაც საქართველოდან ამერიკაში ექსპორტირებული საქონლის ყველაზე დიდ წილს შეადგენს (საქსტატი).

გრაფიკი 1. საქართველოდან აშშ-ში განხორციელებული ექსპორტი, გამოხატული ათასებში, აშშ დოლარში



წყარო: საქსტატი

აშშ-ის საიმიგრაციო პოლიტიკის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

კამალა ჰარისის და დონალდ ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება და თითოეულ მათგანს თავისებური ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს გლობალურ ეკონომიკაზე. ფულადი გზავნილები, განსაკუთრებით ამერიკიდან, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა განვითარებადი და სუსტად განვითარებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) თანახმად, აშშ-ში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების რაოდენობა, დაახლოებით, 40 000 ადამიანს შეადგენს. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამერიკაში მცხოვრები ქართველების რაოდენობა დიდია, რომელთა დიდი ნაწილიც ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას ფულადი გადარიცხვების ან საინვესტიციო კავშირების მეშვეობით. აშშ-ში ქართველების მიგრაციას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს: ეკონომიკური შესაძლებლობები, განათლება და ოჯახის გაერთიანება. დიდი ქართული დიასპორა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებაში, განსაკუთრებით, ეკონომიკისა და კულტურის სფეროებში. გარდა ამისა, ქართველი ემიგრანტები შემოდინებული ფულადი გადარიცხვების ძირითად წყაროს წარმოადგენენ, რაც ხელს უწყობს ემიგრანტთა საქართველოში დარჩენილი ოჯახების ეკონომიკურ კეთილდღეობას. 2023 წელს აშშ-დან შემოდინებული ფულადი გზავნილების რაოდენობამ 460 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანად შემოდინებული გადარიცხვების 11%-ს შეადგენდა (იხ. გრაფიკი 2). ეს ცხადყოფს, რომ აშშ-ის საიმიგრაციო პოლიტიკამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს საქართველოში შემოდინებული ფულადი გადარიცხვების მოცულობაზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში აშშ საკმაოდ პოპულარული ქვეყანა იყო ემიგრანტებისთვის, გლობალური ემიგრაციის წილი კი ამერიკაში სტაბილურად იზრდება წლების განმავლობაში.

გრაფიკი 2. ფულადი გადარიცხვები, გამოხატული ათასებში, აშშ დოლარში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

კამალა ჰარისი მხარს უჭერს მეტად ინკლუზიურ და ჰუმანურ საიმიგრაციო პოლიტიკას, მოქალაქეობის მინიჭებას არალეგალურად მცხოვრები ემიგრანტებისთვის, მათ შორის, DACA-ს პროგრამის ფარგლებში ჩამოსული „მეოცნებეებისათვის“. ჰარისი აქცენტს აკეთებს ყოვლისმომცველ საიმიგრაციო რეფორმებზე, რომელთა მიზანსაც საიმიგრაციო სისტემების მოდერნიზაცია და მიგრაციის გამომწვევ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება წარმოადგენს. ასეთი ფაქტორების რიცხვში შედის სიღარიბე და ძალადობა ისეთ რეგიონებში, როგორიცაა მაგ. ცენტრალური ამერიკა. კამალა ჰარისის პოლიტიკაში აქცენტი კეთდება ოჯახის გაერთიანებაზე, ლეგალური ემიგრანტების რაოდენობის ზრდასა და აშშ-ის საზღვართან თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ მოპყრობის გაუმჯობესებაზე. ჰარისი აკრიტიკებს მკაცრ სასაზღვრო კონტროლსა და მიგრანტთა ოჯახების გახლეჩასაც (Hogan, 2024).

ამის საპირისპიროდ, დონალდ ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკა ეფუძნება ამკრძალავ ღონისძიებებს, რომელთა მიზანიც როგორც ლეგალური, ისე არალეგალური მიგრაციის შემცირებაა. მისი მიდგომა მოიცავს მექსიკაში სასაზღვრო კედლების მშენებლობას, კონკრეტული ქვეყნებისათვის სამოგზაურო შეზღუდვების დაწესებას და საბუთების არმქონე მიგრანტების დეპორტაციას. ტრამპი ემხრობა საიმიგრაციო პოლიტიკის უმკაცრეს აღსრულებას, ეროვნული უსაფრთხოების და ეკონომიკური პროტექციონიზმის პრიორიტეტიზაციას თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების და ოჯახური მიზნებით გამოწვეული მიგრაციის შემცირების გზით. იგი ეწინააღმდეგება არალეგალურად მცხოვრები იმიგრანტებისთვის მოქალაქეობის მინიჭებასაც და მიზნად ისახავს ისეთი პროგრამების შეწყვეტას, როგორიცაა, მაგ., DACA. მისი პოლიტიკა ორიენტირებულია სამუშაო ადგილების დაცვასა და იმიგრაციის შემცირებაზე, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილების მიზნით (Boundless, 2024).

ამ განსხვავებული პოლიტიკის ზეგავლენას საქართველოზე შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ჰარისის პოლიტიკის ფარგლებში, ქართველ კადრებს, რომელთაც სამუშაო ვიზის მიღება სურთ, შესაძლოა მიეცეთ დასაქმების მეტი შესაძლებლობა აშშ-ში იმ შემთხვევაში, თუ იგი გაატარებს სამუშაო ვიზების გაცემის გამარტივების პოლიტიკას და გაამარტივებს დასაქმების მსურველთა მიგრაციის პროცესს. პროგრამა Diversity Visa, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მრავალი ქართველი მიგრანტისათვის, სავარაუდოდ, გავრცელდება ჰარისის პრეზიდენტობის პირობებში, ტრამპის გაპრეზიდენტების შემთხვევაში კი – არა. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო წლებში ამ პროგრამით საქართველოს მრავალმა მოქალაქემ ისარგებლა.

სტატისტიკას თუ გადავხედავთ, 2017-2020 წლებში, ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში, აშშ-დან საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა მიუხედავად იმისა, რომ მისი პრეზიდენტობის დროს პოლიტიკა მეტად გამკაცრებული იყო (იხ. გრაფიკი 2). თუმცა ბაიდენ-ჰარისის ადმინისტრაციის პერიოდში, 2021 წლიდან, საქართველოში ამერიკიდან შემოდინებული ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა კიდევ უფრო მეტად, რაც, შესაძლებელია, განაპირობა სწრაფად მზარდმა ქართულმა დიასპორამ ხელსაყრელი საიმიგრაციო პოლიტიკის ხარჯზე. კამალა ჰარისის მიერ 2024 წლის არჩევნების მოგების შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ ეს ტენდენცია არამარტო გაგრძელდეს, არამედ გაიზარდოს კიდეც. ჰარისის

ყოვლისმომცველი საიმიგრაციო პოლიტიკის რეფორმა, მათ შორის, მოქალაქეობის მიღების პროცედურა და ლეგალური მიგრაციის ცნების გაფართოება, შესაძლოა იყოს მეტი სტაბილურობისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გარანტი ქართველი ემიგრანტებისათვის, რაც მათ საშუალებას მისცემს კიდევ უფრო მეტი ფულადი გზავნილი განახორციელონ სამშობლოში. ამავდროულად, ჰარისის მიერ ყურადღების გამახვილება ოჯახის გაერთიანებასა და ჰუმანიტარულ პოლიტიკაზე, შესაძლოა იყოს ემიგრანტებისათვის უფრო ხელსაყრელი გარემოს შექმნის გარანტი, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ფულადი გზავნილების ნაკადის ზრდას.

ამის საპირისპიროდ, ტრამპის ხელმეორედ გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ეს ტენდენცია შესაძლოა შეიცვალოს. ტრამპის უფრო მკაცრმა პოლიტიკამ, მათ შორის, ოჯახის გაერთიანების მიზნით მიგრაციისა და მიღწევებზე დაფუძნებული სისტემის მიმართ, შესაძლოა შეამციროს საქართველოს მოქალაქეების მიგრაცია აშშ-ში. შედეგად, შესაძლოა შემცირდეს ფულადი გადარიცხვების ნაკადი, რაც უარყოფით ზეგავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე, რომელიც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამერიკიდან შემოდინებულ ფინანსურ ნაკადებზე.

აშშ-დან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს ქვეყნებს შორის ტექნოლოგიური მიმოცვლის პროცესში. აღნიშნული ინვესტიციები ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობას, უზრუნველყოფს რა წვდომას ახალ ბაზრებზე და განაპირობებს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას. საქართველოს მსგავს განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (FDI) გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეს ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და პროდუქტიულობის ზრდას ახალი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე მენეჯერული პრაქტიკის დანერგვის მეშვეობით. 2023 წელს საქართველომ 1.9 მილიარდი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (FDI) მოიზიდა, რაც ცხადყოფს ქვეყნის მიმართ მზარდ ინტერესს საერთაშორისო ინვესტორების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ინვესტიციების 9%, რაც, დაახლოებით, 182 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, აშშ-დან განხორციელდა, რაც ხაზს უსვამს ამერიკული ინვესტიციების მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკურ პროგრესში.

გრაფიკი 3. აშშ-დან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, გამოხატული ათასებში, აშშ დოლარში



წყარო: საქსტატი

მოსალოდნელია, რომ ჰარისის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება მრავალმხრივობასა და საერთაშორისო თანამშრომლობას, რაც ხელს შეუწყობს უფრო სტაბილური და პროგნოზირებადი გარემოს შექმნას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) ჭრილში. ამ მიდგომის წყალობით საქართველო შესაძლებელია უფრო მიმზიდველი გახდეს საერთაშორისო ინვესტორებისათვის, რომლებიც, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებენ პოლიტიკურად

სტაბილურ ქვეყნებს ძლიერი დიპლომატიური კავშირებით. დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და კანონის უზენაესობაზე ყურადღების გამახვილებით, ჰარისის პოლიტიკამ შესაძლოა განაპირობოს საქართველოს მიმართ ინვესტორების სანდოობის ზრდა და ქვეყანა საინვესტიციოდ უფრო მიმზიდველო გახადოს.

გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ ჰარისის ადმინისტრაცია შეინარჩუნებს და ხელს შეუწყობს რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების შენარჩუნებას და საინვესტიციო თანამშრომლობას, გაზრდის აშშ-ის ინვესტორების ინტერესს კრიტიკული მნიშვნელობის მქონე სექტორებში: ინფრასტრუქტურაში, ენერგოსექტორსა და ტექნოლოგიებში, რაც არამხოლოდ საქართველოს მოუტანს სარგებელს, არამედ ხელს შეუწყობს აშშ-ის ინვესტიციების ზრდას სხვა გლობალურ ბაზრებზე, რაც გამოიწვევს უფრო ყოვლისმომცველ ეკონომიკურ ჩართულობას და ხელს შეუწყობს გრძელვადიან საერთაშორისო თანამშრომლობებს.

ამის საპირისპიროდ, დონალდ ტრამპის პოლიტიკამ, რომელიც ყოველთვის ცალმხრივი და პროტექციონისტული იყო, შესაძლოა დიდი გაურკვევლობა წარმოშვას საერთაშორისო ინვესტორებისათვის. ტრამპის პოლიტიკამ, რომელიც ითვალისწინებს სავაჭრო ხელშეკრულებების გადახედვას და უფრო მაღალი ტარიფების დაწესებას, განსაკუთრებით, საკვანძო სავაჭრო პარტნიორებისათვის, შესაძლოა მეტი გამოწვევა წარმოშვას ამერიკული კომპანიებისათვის, რომლებსაც საზღვარგარეთ, მათ შორის, საქართველოს მსგავს ქვეყნებში სურთ ინვესტიციების განხორციელება. ამგვარი პროტექციონისტული ზომების გაძლიერების შემთხვევაში, შესაძლოა, აშშ-ის მიერ განხორციელებული უცხოური ინვესტიციები ნაკლებად მიმზიდველი გახდეს, ვინაიდან გაიზრდება მათთან დაკავშირებული ხარჯები და გართულდება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები. ამან შესაძლოა უბიძგოს ამერიკელ ინვესტორებს თავი შეიკავონ იმ სხვადასხვა ბაზარზე არსებული შესაძლებლობებით სარგებლობისაგან, რომლებშიც მანამდე მნიშვნელოვნად იყვნენ ჩართული, რაც პოტენციურად შეამცირებს საქართველოსა და მსგავსი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) განხორციელებას (CNN Politics, 2024).

ტრამპის პროტექციონისტური პოლიტიკის მიუხედავად, აშშ-დან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) რაოდენობა 2017-19 წლებში იზრდებოდა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აშშ-ის ინვესტორები დაინტერესებული იყვნენ საქართველოში არსებული შესაძლებლობებით. სავარაუდოდ, ეს განპირობებული იყო ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებითა და სტრატეგიული ადგილმდებარეობით. 2020 წელს შემცირდა აშშ-ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა. თუმცა ეს შემცირება არც თუ ისეთი შესამჩნევი იყო საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზოგადი შემცირების ფონზე იმ წელს, რაც, მეტწილად, COVID-19-ის პანდემიით იყო გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ პიკს 2020 წელს მიაღწია და საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 17% შეადგინა, რაც ამ ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე მიგვანიშნებს. 2021 წელს, ბაიდენის პრეზიდენტობის დროს, აშშ-დან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც დაკავშირებული იყო

მსოფლიო ეკონომიკურ გამოწვევებთან. თუმცა, 2022-23 წლებში გაიზარდა ამერიკიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI).

ზოგადი ტენდენციის გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ როგორც ჰარისის, ისე ტრამპის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შემცირდეს ამერიკული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. თუმცა, სავარაუდოა, რომ ჰარისის პრეზიდენტობა მეტ თავდაჯერებულობას შემატებს საერთაშორისო ბაზრებს, რამდენადაც ხელს შეუწყობს უფრო სტაბილური და პროგნოზირებადი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას. მოსალოდნელია, რომ ჰარისის მიერ ყურადღების გამახვილება მრავალმხრივობაზე, საერთაშორისო თანამშრომლობასა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე გამოიწვევს ინვესტორებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. ამგვარი პოლიტიკა საქართველოს უფრო მიმზიდველად აქცევს, რაც გამოიწვევს საქართველოში აშშ-ის მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას, რამდენადაც ინვესტორები, როგორც წესი, სტაბილურ და უსაფრთხო ბაზრებს ეძებენ.

მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ტრამპის ცალმხრივმა და პროტექციონისტულმა პოლიტიკამ შესაძლოა არ გამოიწვიოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება, შესაძლებელია, გამოიწვიოს გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა შეაფერხოს საზღვარგარეთ, მათ შორის, საქართველოში, ინვესტიციების განხორციელების პროცესი. ტრამპის პოლიტიკამ სავაჭრო გარიგებების გადახედვისა და ტარიფების დაწესების შესახებ შესაძლოა გამოიწვიოს უფრო არაპროგნოზირებადი საინვესტიციო ლანდშაფტის ჩამოყალიბება, რაც პოტენციურად შეაფერხებს ინვესტორების მიერ გრძელვადიანი გარიგებების დადების პროცესს. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა შესაძლოა პირდაპირ არ შემცირდეს, ჰარისის უფრო გლობალურ პოლიტიკასთან შედარებით, ტრამპის პრეზიდენტობის პირობებში ეს ზრდის ტრაექტორია შენელდება (Council on Foreign Relations, 2024).

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობაც. საქართველოსა და აშშ-ს შორის ურთიერთობის დაძაბვამ, რამაც შემდგომში საქართველოსათვის სანქციების დაწესება გამოიწვია, უკვე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა იქონია საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციაზე. სანქციებმა, რომლებიც, უმეტესწილად, დაკავშირებული იყო ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის შემცირებასა და მმართველობის პრობლემებთან, შესაძლებელია საქართველო ნაკლებად საინტერესო ქვეყანად აქციოს უცხოელი ინვესტორებისათვის, რომლებიც, როგორც წესი, არჩევანს სტაბილურ და პოლიტიკურად უსაფრთხო გარემოზე აკეთებენ. თუ მომდევნო არჩევნებში საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა გაიმარჯვებს, მაღალია აღნიშნული სანქციების შენარჩუნების ან გამკაცრების რისკი, რაც შემდგომში შეამცირებს ინვესტორთა ნდობას და შეანელებს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდოდ, ჰარისის ადმინისტრაცია აქცენტს მრავალმხრივობასა და საერთაშორისო თანამშრომლობებზე გააკეთებს, არსებული პოლიტიკური დაძაბულობის გამო, საქართველოს შესაძლოა შეექმნას დიპლომატიური დაბრკოლებები აშშ-სთან ურთიერთობებში. ამ გამოწვევებმა შესაძლოა შეაფერხოს ამერიკელი ინვესტორების ინვესტიციების განხორციელება

საქართველოში, განსაკუთრებით, თუ სტრატეგიულ პარტნიორებთან არსებული დაძაბული ურთიერთობა არ გამოსწორდება. ამგვარი პოლიტიკური არასტაბილურობა და დაძაბული დიპლომატიური ურთიერთობები შესაძლოა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების მიზეზი გახდეს არა მარტო ამერიკიდან, არამედ სხვა საერთაშორისო ინვესტორების მხრიდანაც, რომლებსაც ინვესტიციების განხორციელება პოლიტიკურად სტაბილურ გარემოში სურთ.

რა გავლენას იქონიებს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს გაცვლით კურსსა და ინფლაციაზე

საქართველოს გაცვლით კურსსა და ინფლაციის მაჩვენებელზე ჰარისის და ტრამპის პრეზიდენტობის პოტენციური ზეგავლენის შეფასებისას აუცილებელია გავიაზროთ ის მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც მათი პოლიტიკა იქონიებს ზეგავლენას კრიტიკულ ეკონომიკურ ინდიკატორებზე. ამგვარი სიღრმისეული შესწავლა უნდა მოიცავდეს შემდეგი ცვლადების შესწავლას: საერთაშორისო ვაჭრობას, ფულად გადარიცხვებს, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და გლობალურ საერთაშორისო ეკონომიკურ ტენდენციებს.

როგორც აღვნიშნეთ, სავარაუდოდ, კამალა ჰარისი გაატარებს მეტად პროგნოზირებად, მრავალმხრივ პოლიტიკას, რაც ხელს შეუწყობს გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობის შემცირებას და შედარებით სტაბილური საერთაშორისო გარემოს შექმნას. ბუნდოვანების შემცირება გამოიწვევს ინვესტორების რწმენის სტაბილიზაციას ისეთ განვითარებად ქვეყნებთან მიმართებით, როგორიც საქართველოა, სადაც გარემო ფაქტორები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას. ჰარისის პრეზიდენტობის პირობებში გლობალური ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებამ შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობის ზრდა, რაც გამოწვეული იქნება ინვესტორებს შორის საქართველოს როგორც უფრო სტაბილური საერთაშორისო თანამშრომლობის გარემოს მქონე ქვეყნის, რეპუტაციის გაძლიერებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა გააძლიერებს საქართველოს ეკონომიკურ პერსპექტივებს, რამდენადაც გაიზრდება უცხოური ვალუტის ნაკადი, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას (Forbes, 2024).

მიუხედავად ამისა, თუ აშშ კვლავ ჩათვლის, რომ პოლიტიკური ვითარება საქართველოში არადემოკრატიული ტრაექტორიით ვითარდება, სავსებით მოსალოდნელია, რომ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემცირდეს, რაც არა მხოლოდ შეამცირებს ეკონომიკურ განვითარებას, არამედ გამოიწვევს ქართული ლარის გაუფასურებასაც. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება, როგორც წესი, იწვევს ინვესტორებს შორის რეპუტაციის შელახვას, რაც იწვევს ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას და უარყოფითად აისახება ეროვნულ ვალუტაზე. ინვესტორთა დამოკიდებულების გაუარესებასთან ერთად, შესაძლოა დაიწყოს ლარის გაუფასურება, რაც გამოიწვევს ვალუტის გაუფასურებას და ინფლაციური ზეწოლის ზრდას. შემოდინებული კაპიტალის ამგვარმა შემცირებამ და ვალუტის გაუფასურებამ კი შესაძლოა საქართველო მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დააყენოს გლობალურ კონტექსტში.

ტრამპის ცალმხრივი მიდგომა საგარეო პოლიტიკისადმი, რაც გულისხმობს საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებებიდან გამოსვლას და სავაჭრო ომის წამოწყებას, მათ შორის, ისეთ წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან, როგორიც, მაგ., ჩინეთია, მსოფლიოში გამოიწვევს ეკონომიკურ არასტაბილურობას. ამგვარმა გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების დამოკიდებულებაზე, განსაკუთრებით, განვითარებადი ეკონომიკის მქონე

ქვეყნების მიმართ. ამ სცენარის შემთხვევაში, შესაძლოა გაიზარდოს საქართველოდან კაპიტალის გადინება, რადგან ინვესტორები ინვესტიციების განსახორციელებლად უპირატესობას უფრო სტაბილურ გარემოს ანიჭებენ, რაც ლარზე დამატებით ზეწოლას წარმოშობს. გარდა ამისა, ტრამპის პოლიტიკამ შესაძლოა აშშ დოლარის გამყარება გამოიწვიოს, რამდენადაც მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილურობა ხშირად ინვესტორებს უბიძგებს არჩევანი უსაფართხო აქტივებზე შეაჩერონ. დოლარის გამყარებამ შესაძლოა ლარის გაუფასურება გამოიწვიოს, რაც გაზრდის იმპორტის ხარჯებს და ხელს შეუწყობს ინფლაციის ზრდას.

აშშ დოლარის/ლარის გაცვლითი კურსი 2017 წელს შემცირდა (იხ.გრაფიკი 4), 2018 წელს კი კვლავ გაიზარდა და 2018 წლის მეორე ნახევრიდან სტაბილურად იზრდებოდა. მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა, ეს ტენდენცია 2021 წლამდე გრძელდებოდა. 2022 წელს კი გაცვლითმა კურსმა შემცირება დაიწყო და 2023-24 წლებში დასტაბილურდა. 2019-20 წლებში დაფიქსირებული მკვეთრი ზრდის ტენდენცია შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო COVID-19-ის პანდემიით, რამაც გამოიწვია გლობალური გაურკვევლობა და კაპიტალდაბანდება ისეთ უსაფრთხო აქტივებში, როგორიც აშშ დოლარია.

გრაფიკი 4. აშშ დოლარის/ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

The Economist-ის თანახმად, *(*2024*)*, დონალდ ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებებია მოსალოდნელი. ტრამპის პოლიტიკა დაეფუძნება პროტექციონიზმსა და ნაციონალიზმს. მის პლატფორმაზე ვხედავთ არალეგალური იმიგრანტების მასობრივი დეპორტაციის, საიმიგრაციო კონტროლის გამკაცრების და იმპორტზე უფრო მაღალი ტარიფების დაწესების გეგმებს. გამკაცრდება სამხედრო დახმარებასთან დაკავშირებული წესები და, სავარაუდოდ, ამერიკის მოკავშირეებს მოუწევთ თავდაცვის ხარჯების გაზრდა. აშშ-ის ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები, როგორიც, მაგ., მექსიკაა, შესაძლოა გადააწყდნენ გამკაცრებულ საემიგრაციო წესებს და სავაჭრო შეზღუდვებს, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო დეფიციტი განაგრძობს ზრდას. ტრამპმა

შესაძლოა მოისურვოს გამოვიდეს აშშ-ს, მექსიკასა და კანადას შორის არსებული შეთანხმებიდან (USMCA) და გამოიყენოს იგი ვაჭრობისათვის, რათა მექსიკა და სხვა პარტნიორები გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ (The Economist, 2024).

გარდა ამისა, ტრამპის გაპრეზიდენტებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ამერიკის სავაჭრო პარტნიორებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ტრამპის საიმიგრაციო და სავაჭრო პოლიტიკა ყველაზე მეტად მექსიკაზე, ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და NATO-ს წევრ ისეთ ქვეყნებზე იქონიებს ზეგავლენას, როგორიც, მაგ., გერმანიაა. შესაძლოა გამწვავდეს მიმდინარე სავაჭრო ომი ჩინეთსა და ამერიკას შორის, ხოლო ტრამპი მოითხოვს უფრო მაღალი ტარიფების დაწესებასა და ამერიკისა და ჩინეთის ეკონომიკების კიდევ უფრო მეტად გამიჯვნას. ტრამპის პოლიტიკის ისეთმა მწვავე ასპექტებმა, როგორიც ტარიფები და საიმიგრაციო შეზღუდვებია, შესაძლოა გამოიწვიოს დაპირისპირება რესპუბლიკური პარტიის, სასამართლოების და საწარმოების მხრიდან. არანაკლებ შემაშფოთებელია ტრამპის საერთაშორისო უსაფრთხოების არაპროგნოზირებადი პოლიტიკა, განსაკუთრებით, NATO-სთან დაკავშირებით, რამდენადაც მან შესაძლოა გადაწყვიტოს ალიანსიდან გასვლა.

რაც შეეხება საქართველოს, ამან შესაძლოა გამოიწვიოს გაზრდილი ზეწოლა აშშ დოლარის და ლარის გაცვლით კურსზე. გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობის ზრდის შემთხვევაში, ინვესტორებმა შესაძლოა არჩევანი უსაფრთხო აქტივებზე შეაჩერონ, მაგ., აშშ დოლარზე, რაც გამოიწვევს მის გამყარებას სხვა ვალუტებთან შედარებით. ამ სცენარის შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ ქართული ლარი გაუფასურდება აშშ დოლართან მიმართებით.

გარდა ამისა, *The Economic Times* (2024)-ში ხაზგასმულია, რომ ჰარისის გამარჯვების მოლოდინი უარყოფითად აისახება საფონდო ბირჟებზე და ხელს უწყობს აშშ დოლარის გაუფასურებას, რაც არ არის დამახასიათებელი წინასაარჩევნო პერიოდისთვის. თავდაპირველად თითქოს ყველაფერი იმაზე მიანიშნებდა, რომ ტრამპს გამარჯვების მეტი შანსი ჰქონდა, თუმცა ჰარისის პოპულარობის ზრდამ კიდევ უფრო ჩახლართა ბაზრის დინამიკა, რამაც გამოიწვია იმ აქციების ფასების ვარდნა, რომელთა ფასების ზრდაც მოსალოდნელი იყო ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში.

გრაფიკი 5. დოლარის ინდექსი

წყარო: Trading Economics

მე-5 გრაფიკზე გამოსახული დოლარის ინდექსი ასახავს ივლისში დაწყებულ შემცირებას, რაც ემთხვევა კამალა ჰარისის მიერ 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის საკუთარი კანდიდატურის შესახებ ოფიციალური განცხადების გაკეთებას, მოქმედი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის მიერ კანდიდატურის მოხსნის შემდეგ (The Economic Times, 2024).

დასკვნა

მოსალოდნელია, რომ აშშ-ის 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე. კერძოდ, ცვლილება შეეხება ვაჭრობას, მიგრაციას, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, გაცვლით კურსს. კამალა ჰარისი და დონალდ ტრამპი რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკის გატარებას გეგმავენ, რომელიც მნიშვნელოვნად იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკურ ტრაექტორიაზე.

სავაჭრო პოლიტიკა – ტრამპის და ჰარისის სავაჭრო პოლიტიკა ფუნდამენტურად განსხვავებულ მიდგომებს ეფუძნება. ტრამპის პროტექციონისტური პოლიტიკა ითვალისწინებს სავაჭრო ურთიერთობების გადახედვასა და ტარიფების ზრდას, სავაჭრო დეფიციტის შემცირებას და ადგილობრივი წარმოების ზრდას, ხშირად, მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების დათმობის სანაცვლოდ. ამის საპირისპიროდ, ჰარისი ემხრობა უფრო მრავალმხრივ და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ მიდგომას, მიზნად ისახავს საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერებას და სხვადასხვა ინიციატივის მეშვეობით ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობას. აღნიშნულით განპირობებული მნიშვნელოვანი ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე აშკარაა, რამდენადაც საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის რაოდენობის მიხედვით აშშ მე-8 ადგილს იკავებს. ტრამპის გაპრეზიდენტების და მის მიერ დამატებითი ტარიფების დაწესების შემთხვევაში, გარდაუვალია უარყოფითი ზეგავლენა საქართველოს მიერ განხორციელებულ ექსპორტის მაჩვენებელზე, ხოლო ჰარისის მიერ მრავალმხრივი თანამშრომლობების პრიორიტეტიზაცია გამოიწვევს სავაჭრო ურთიერთობების სტაბილიზაციას და გაზრდის ექსპორტის პოტენციალს.

მიგრაცია – განსხვავდება თითოეული კანდიდატის საიმიგრაციო პოლიტიკაც. ჰარისი მხარს უჭერს ინკლუზიურ საიმიგრაციო პოლიტიკას და ემხრობა მოქალაქეობის მიღების პროცედურის გამარტივებას, რაც გაზრდის ამერიკაში დასაქმების სურვილის მქონე საქართველოს მოქალაქეების შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს აშშ-დან შემომავალი ფულადი გზავნილების რაოდენობის შენარჩუნებას. აშშ-დან ფულადი გზავნილების მოცულობამ 2023 წელს საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების 11% შეადგინა. ამის საპირისპიროდ, ტრამპის შეზღუდვებზე დაფუძნებული საიმიგრაციო პოლიტიკის თანახმად, ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას და ეკონომიკურ პროტექციონიზმს, რაც შესაძლოა არახელსაყრელი აღმოჩნდეს ქართველი ემიგრანტებისთვის. ფულად გზავნილებთან დაკავშირებული მონაცემები მოწმობს, რომ მათი რაოდენობის ზრდა დაიწყო ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში და კიდევ უფრო აჩქარდა ბაიდენ-ჰარისის ადმინისტრაციის დროს. მოსალოდნელია, რომ ჰარისის გაპრეზიდენტება ხელს შეუწყობს საქართველოში ფულადი ნაკადების გაზრდილ შემოდინებას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები – ჰარისის მრავალმხრივმა მიდგომამ შესაძლოა გაზარდოს საქართველოს რეპუტაცია ინვესტორებს შორის, რაც გამოიწვევს უფრო სტაბილური საინვესტიციო გარემოს შექმნას და საქართველოში აშშ-ის ინვესტიციების მზარდ შემოდინებას. ამის საპირისპიროდ, ტრამპის ცალმხრივმა და პროტექციონისტურმა პოლიტიკამ შესაძლოა

ბუნდოვანება წარმოშვას მიუხედავად იმისა, რომ მისი პრეზიდენტობისას, 2017-19 წლებში, აშშ-ს მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა იზრდებოდა.

გაცვლითი კურსი – თითოეული კანდიდატის პოლიტიკამ შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს აშშ დოლარი/ლარის გაცვლით კურსსა და საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელზე. მოსალოდნელია, რომ ჰარისის მრავალმხრივი თანამშრომლობის მიდგომა ხელს შეუწყობს გლობალურ სტაბილურობას, ლარის გამყარებას და ინფლაციური დატვირთვის შემცირებას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდისა და სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავების მეშვეობით. ამის საპირისპიროდ, ტრამპის პროტექციონისტულმა პოლიტიკამ შესაძლებელია გაზარდოს მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილურობა, გამოიწვიოს კაპიტალის გადინება და აშშ დოლარის გამყარება, რაც წარმოშობს ლარზე ზეწოლას, რამაც შესაძლოა საქართველოში ინფლაციის ზრდაც კი გამოიწვიოს.

ბიბლიოგრაფია

Boundless. (2024, September 11). *Trump and Harris clash over immigration during first debate*. Retrieved from https://www.boundless.com/blog/trump-and-harris-clash-on-immigration-during-first-debate/

Chatham House. (2024, September 12). *What a second Trump presidency would mean for the world*. Retrieved from https://www.chathamhouse.org/publications/the-world-today/2024-09/what-second-trump-presidency-would-mean-world

CNN Politics. (2024, June 23). *5 ways a second Trump administration would be different from the first*. Retrieved from https://edition.cnn.com/2024/06/23/politics/second-trump-administration-agenda/index.html

Council on Foreign Relations. (2024, September 27). *The 2024 candidates on foreign policy*. Retrieved from https://www.cfr.org/election2024/candidate-tracker

Forbes. (2024, September 25). *What to know about Kamala Harris' economic agenda as she lays out vision today*. Retrieved from https://www.forbes.com/sites/alisondurkee/2024/09/25/what-to-know-about-kamala-harris-economic-agenda-ahead-of-speech-today/

Hogan, M. (2024, September 9). Trump vs. Harris on immigration: Future policy proposals. *Peterson Institute for International Economics*. Retrieved from https://www.piie.com/blogs/realtime-economics/2024/trump-vs-harris-immigration-future-policy-proposals

The Economic Times. (2024, August 23). *Will a Kamala Harris win weaken the US Dollar? Here's what investors are saying*. Retrieved from https://economictimes.indiatimes.com/news/international/us/will-a-kamala-harris-win-weaken-the-us-dollar-heres-what-investors-are-saying/articleshow/112724916.cms?from=mdr

The Economist. (2024, July 30). *Which countries would be most affected by a second Trump term?* Retrieved from https://www.economist.com/graphic-detail/2024/07/30/which-countries-would-be-most-affected-by-a-second-trump-term

USA Today. (2024, September 10). *Inside Trump's and Harris' starkly different visions for the economy*. Retrieved from https://www.usatoday.com/story/money/2024/09/10/kamala-harris-trump-economy-policies-compared/75139488007/

Voice of America. (2024, June 10). *The situation is extremely critical - either you go to the West, or you remain in Russia's backyard*. Retrieved from https://www.amerikiskhma.com/a/7648981.html

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის ეკონომიკის წამყვანი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. ინსტიტუტის საქმიანობის საგანს წარმოადგენს როგორც კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა, ისე ტრენინგებისა და დისკუსიების ორგანიზება საჯარო პოლიტიკის ირგვლივ. ISET-ის კვლევით ინსტიტუტსა და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (ISET) შორის არსებული მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს ორივე ორგანიზაციის ინტელექტუალურ-ფინანსურ მდგრადობას. ინსტიტუტის მიზანია, საქართველოსა და რეგიონის მასშტაბით წვლილი შეიტანოს ეკონომიკის, განათლების, დემოკრატიული მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
www.iset-pi.ge
iset-pi@iset.ge
+995 322 507 177